

საპროლეტარული სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლეტარული კულტურის სახელმწიფო კომიტეტისა

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

თავადავალი, ოთხშაბათი, 1988 წ.

№ 89 (9706) შპსი 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

„სკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ საბჭოთა არმიისა და სახმელეთო-საზღვაო ფლოტის ჯარისკაცები და მატროსები, სერჟანტები და წემდეგები, პრაპორშჩიკები და მიწმანები, ოფიცრები, გენერლები და აღმწარლები ღირსეულად მოხდნენ თავიანთ წმიდათაწმიდა ვალს სამშობლოს წინაშე, ფხიზლად და საიმედოდ დაცვენი საბჭოთა ხალხის აღმშენებლობით შრომას, სოციალიზმის მონაპოვრებს, მხედრულ შრომით მოპოვებული წარმატებებით ღირსეულად შეეგებებიან XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციას.“

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრებისა და ვეტერანებისადმი სკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებლად.

რესპუბლიკის ქალაქებში და რაიონებში საინტერესოდ ჩატარდა სროლის კვირეული. ახმეტის რაიონში მოსწავლე-ახალგაზრდობა ხალხით მონაწილეობდა კვირეულის დღეებში გამართულ შეჯიბრებებში. ასეა ყოველთვის, როცა ღონისძიება კარგადაა ორგანიზებული. რაიონში ბევრგან არ არის სასროლო ტირი. მარტივი ტირებიდან კი ყველაზე კეთილმოწყობილი და მოსახერხებელია ქვემო აღვანის საშუალო სკოლის ბაზა. ეს ფოტოსურათები, რომლებსაც დღეს გთავაზობთ, სწორედ ამ ბაზაზე გადაიღო ჩვენმა კორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა.

მონღოებს ასეთი უნდა

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 70-ე წლისთავს მიეძღვნა საინტერესო სპორტული ღონისძიებები, რომელიც სამხრეთ ოსეთში ჩატარდა. ყოველ შაბათ-კვირას ქალაქ ცხინვალის სამხრეთით მდებარე მუხნარის ფერდობზე უამრავი ხალხი იყრიდა თავს, ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები, სამრეწველო საწარმოო დაწესებულება-ორგანიზაციის სპორტული კოლექტივები, სტუდენტური და სხვა სპორტის მოყვარულები, მთელი ერთი თვის განმავლობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს თბილისურებით რბენაში, სწრაფდასრულებაში, ციგებით სროლაში, ეწყობოდა კროსები სხვადასხვა დისტანციაზე. ჩატარდა საოქრო პირველობები მოსწავლეთა შორის კალათბურთსა და მინიფეხბურთში, მოეწყო კულტურულ-სპორტული ღონისძიება „აბა, ყმა-წვილებო!“. საღმრთადად ზემს ცხინვალელი ომის ინვალიდები და ვეტერანები გამოეხმურნენ, მოეწყო შეჯიბრებები შაშხა და ტულარაში. ზემოთ ნახსენებ სპორტულ ღონისძიებებში ათასამდე სპორტის მოყვარული მონაწილეობდა.

ლილა სუპალიანი, „ლელოს“ საქ. კორ.

პრეზიდენტი ქალთა ბუნებრივი გამარჯვებულების ნანა იოსელიანისა და ელენა ახმელოვსკაიას დაზავებითი მატჩი

მოგაგას შეიკლავოდა

წალკაში (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც კორ.). მეორე პარტი-აში, რომელიც თეთრი ფიგურებით ელენა ახმელოვსკაია თამაშობდა, ვათამაშდა ლაზიერის გამბი-ტი. იოსელიანმა ახალი გაგრძელება აირჩია. ახმელოვსკაია ძალზე ფრთხილად და ყურადღებით თამაშობდა, მცირე პოზიციურ უპირატესობასაც კი დაეუფლა, მაგრამ მითელში რამდენჯერმე არახუსტად ითამაშა და ინიციატივა იოსელიანს დაუთმო.

ნანა იმდენად დიდ პოზიციურ უპირატესობას ფლობდა რომ ყველას ეგონა, იგი მეორე გამარჯვებას მოიპოვებდა, მაგრამ ახმელოვსკაია ზუსტად იცავდა თავს. ნანამ კვლავ შეძლო გაერღვია მეტოქის მყარი პოზიცია და 51-ე სვლაზე პარტია ყაიმით დამთავრდა.

გუზინ...

გამართა მატჩის მესამე პარტია. თეთრებით თამაშობდა ნანა იოსელიანი. პარტია გადაიღო.



ქაეპი კვარცხლბაქვა

საპარტიველოს 9 ფალავანი იასპარეზებს სამბისტა წლევედელ საკავშირო ჩემპიონატში. მათგან რამე ამის უფლება უკრინის ქალაქ კიროვოგრადაში გამართულ ზონალურ ტურნირში მოიპოვა, ხოლო მეცხრე — მსოფლიო ჩემპიონს ჯემალ მკედლიშვილს ამ ეტაპის გუვლეულად დაუშვებენ ძირითად შეჯიბრებაში. კიროვოგრადაში ოთხი მოკავშირე რესპუბლიკის უკრინის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენლები შეიკრიბნენ. ჩვენი გუნდის წევრთა შედეგები ასეთია: 3 პირველი, ამდენივე მეორე და ორიც მესამე ადგილი. ერთმანეთს არ ჩამორჩნენ ძეგები მალხაზ და გელა ბერუაშვილები — ორივემ გამარჯვება მოიპოვა, უმცროსმა ძეგმა — გელამ (მწვრთნელი დილარ ხაბულიანი) 100 კგ წონით კატეგორიაში, ხოლო ქვეყნის გასული წლის აბსოლუტური ჩემპიონი მალხაზ ბერუაშვილი (მწვრთ-

ნელი ზაურ ხაინდრაყა) მომდევნო წონაში გახდა უძლიერესი. პირველი ადგილი დაიკავა აგრეთვე საგარე-ჯოელმა პაატა ბუზარიაშვილმა (82 კგ, მწვრთნელი ანზორ ზურაბაული). მეორე ადგილებზე გავიდნენ სოხუმელი შირვან ფარჯანაძე (62), მცხეთელი მამუკა წინამძღვრიშვილი (82) და თბილისელი იოსებ ჯოჩოშვილი (მძიმე), მესამეზე — თბილისელები ლევან ბასილაშვილი (57) და ვია ნაცვლიშვილი (62). თბილისელ კობა ედიშერაშვილს და ქუთაისელ თემურაზ ციტიშვილს მე-5 ადგილი ხვდათ წილად. პირველი ადგილის რეალური კანდიდატი იყო ვია გოვოლოური, რომელმაც ტურნირი ორი წმინდა მოგებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ ტრავმის გამო ვერ შეძლო ბრძოლის გაგრძელება. ჩვენი გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადეს სუგზარ ხუციშვილმა, გიორგი ალექსანიანმა და თამაზ ჯველაურმა.

მეთოდისის უბატი ხელუხახალია!

პასუს ველოდში...

გუზინ რედაქციაში გვეწვია მცხეთის რაიონის საფარაშოს საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურის მე-თოდისტი მალხაზ კახაბერაშვილი, რომლის შტატი მეურნეობას 1988 წლის 10 იანვარს გაუშვებია და მეთოდისტი სამუშაოდან დაუთხოვიათ. მეურნეობას არც ის გაუთვალისწინებია, რომ მალხაზ კახაბერაშვილი ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების მესამე კურსის სტუდენტია. ვთხოვე მეურნეობის დირექტორს ა. უღმრთს, პროკავშირის ადგილკომის თავმჯდომარეს ვ. უნდელაშვილს, დასაბუთებულად გაცნობოს თუ რის საფუძველზე გააუშვეს ფიზკულტურის მეთოდისტის შტატი. ამ საკითხთან დაკავშირებით პასუს აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტიდანაც ვეკითხებო.

ლილა მესხა ნარკატაბით ღაინყო

უპლიერისი საბჭოთა ჩოგბურთელები ახალ სპორტულ სეზონს ამერიკის კონტინენტზე ხვდებიან და იქაურ ტრადიციულ ტურნირებში თამაშობენ. ახლანდელ დამთავრდა „ვირჯინია სლიმის“ პოპულარული შეჯიბრება და ისევ ახალი ტურნირი. ქალაქ ფაირფაქსში (ვირჯინიის შტატი) სასპარტოლო ჩვიდნენ მინსკელი ნატალია ზვერევა, თბილისელი ლეილა მესხა და მოსკოველი ნატალია ბიკოვა.

პირველი ტურის შეხვედრა ზვერევა და მესხა მოიგეს შესაბამისად ლიზა ბონდერთან (აშშ) 6:4, 7:6 და აკიკო კუმიტასთან (7:6, 7:6), ბიკოვა კი დამარცხდა ბარბარე პოტერთან (აშშ) — 4:6, 1:6. ანალოგიური ტურნირი, ოდონდ ნაკლები სიძლიერისა მიმდინარეობს ოკლაჰომა-სიტეში. აქ მოსკოველმა სვეტლანა პარხომენკომ პირველი გამარჯვება იხეიმა — სამ პარტი-აში ჯეინ თომასი დაამარცხა. 6:7, 6:3, 6:1.



ნორჩა სპორტსმენებმა სახეიმი შეხვედრის მონაწილეებს ყვავილები მიართვეს. ომგადახდილ სპორტსმენებს გადასცეს დიპლომები და ფასიანი საჩუქრები. მძლეოსნობის სახელიდან შეკრების მონაწილენი სამხედრო დიდების მუზეუმს ეწვევენ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი წალკაში

პირველი ნრა დამთავრდა

წალკაში გამართულ საკავშირო ჩემპიონატი შეიძლება ისე წარმართოს, რომ სტუმარი მასპინძელი ქალაქის გუნდს არ შეხვდეს. ამ მხრივ თბილისელებს წესს ბედი აშკარად არ სწყალობდათ. როგორც გახსოვთ, ჩვენმა „დინამომ“ პირველ ტურში ხარკოვში იასპარეზა და მასპინძლებთან „ლოკომოტივის“ გუნდთან შეხვედრაში ქულა აიღო. მომდევნო ტურში, ბაქოში, დინამოელებმა მასპინძლებთან კვლავ ითამაშეს. და აი, მინსკის ტური და კვლავ მასპინძლებთან შეხვედრა. მინსკის ასე უმაღლესი ლიგის დებიუტანტი გახლავთ. იგი სერიოზულ მეტოქედ არავის მიიჩნია. მინსკელები რომ საშუალო ძალას არ წარმოადგენდნენ თვალნათლივ დაგანახვა პირველმა და მეორე ტურებმა, სადაც მათ ყველა შეხვედრა წააგეს, მაგრამ, მოგვხსენებთ, შინ გუნდს, როგორც იტყვიან, საკუთარი კედლებიც ეხმარება. ალბათ ამიტომაც იყო, რომ მინსკელებმა პირველი გამარჯვება (მოსკოვითან) სწორედ შინ ასპარეზობისას მოიპოვეს. ახლა მინსკელთა მეტოქე თბილისის „დინამო“ იყო. მართალია, ამ შეხვედრაში მინსკელებს საკუთარი გულშემატკივრების იმედიც ჰქონდათ: და იმათაც მოლოდინი არ გაუწილეს, მაგრამ თბილისელებმა მაინც გამარჯვებას ველოდით.



მათ მართლაც კარგად დაიწყეს პირველი პერიოდი, რომელიც მინიშნულური უპირატესობით მოიგეს (1:0). სამწუხაროდ, მომდევნო პერიოდი დინამოელებმა ასევე მინიშნულური ანგარიშით წააგეს (2:3). დანარჩენ პერიოდებში (2:2, 2:2). ძალთა თანაფარდობა აღარ შეცვლილა და გუნდებმა ქულები გაიყვეს. რა თქმა უნდა, ეს შედეგი თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრებს არ შეიძლება გვაკმაყოფილებდეს, რადგან მინსკის ასე ის გუნდი არაა, რომლის შინ დამარცხება ჩვენი გუნდისთვის პრობლემა იყოს. მინსკში დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო“ (ალმათა) — „მოსკოვი“ 12:4, „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) — კრფ (სე-ვასტოპოლი) 12:5. ქვეყნი კი მატჩები ასე დასრულდა: „დინამო“ (ლოვო) — ცსკ ვმფ 9:9; „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — კვფ (ბაქო) 10:11; „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 5:5. ამრიგად, სატურნირო ცხრილის სათავეში არიან მოსკოვის „დინამოსა“ და ცსკ ვმფ-ს გუნდები, რომლებსაც 19-19 ქულა აქვთ. მომდევნო ადგილებზე 16-16 ქულით მოდიან ალმა-ათისა და ლოვოს „დინამოს“ გუნდები. „უნვერსიტეტს“ 15, ხოლო თბილისელებს 12 ქულა აქვთ და სატურნირო ცხრილში მეექვსე საფეხურს იკავებენ.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 70 წლისთავის გამო

კავალერიის დამსახურება

70 წლის წინათ, 1918 წელს, შეიქმნა წითელი არმია. ამავე პერიოდში ვერცხლსა და სპილენძს შიგნითაა შეიარაღებულ ძალებში საარმიო ფაქტორების ახალი ტიპის — ცხენოსანი არმიის შექმნას. კვერთხს წინაშე ამ ფაქტზე და საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში ცხენოსანი არმიის მიერ შეტანილ დიდ წვლილზე გვექნება საუბარი.

1918 წელს ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას მძიმე პერიოდი დაუდგა — „მეწევიკებისა და ესერების წაქეზებითა და მონაწილეობით საბჭოთა რესპუბლიკაში მოწყობის კონტრრევოლუციური შეთქმულება, კულაკური აჯანყება“. ცნობილია, რომ 1918 წელს ცენტ-

ბით იყო გამოწვეული. უკვე 1919 წლის ივნისში ს. მ. ბუდიონი ცხენოსანი კორპუსს უდგას სათავეში. კორპუსი იმავე წელს, სულძალიან, პირველ ცხენოსან არმიად გარდაიქმნა.

ცხენოსანი არმიის შექმნა ბევრად უფრო დიდ სირთულეებთან აღმოჩნდა დაკავშირებული, ვიდრე ვარაუდობდნენ. მოსალოდნელი იყო, რომ ცხენთა სულადობით არმიის შევსება არ გაჭირდებოდა, რადგან რუსეთი 1916 წლის ოფიციალური მონაცემებით 36 მილიონამდე ცხენს ითვლიდა — იმ რაოდენობით მსოფლიოში აღრიცხვით თითქმის ნახევარს. მაგრამ ისეთი საცხენოსნო ცენტრები, როგორცაა ჩრდილოეთი კავკასია, უკრაინა, რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი, ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების ხელში იყო, მათ უკვე მოესწროთ იქ შექმნათ თავიანთი

კავალერიის ნაწილები. და მაინც, როგორც საარტილერიო მასალებიდან ირკვევა, 1918 წლის დეკემბრის დასაწყისისთვის წითელი არმიის ცხენოსანთა რიგები 25 ათასამდე შემოკლდა, 1919 წლის იანვრის ბოლოსთვის კი — 40 ათასს. მძიმე იყო საბჭოთა ხელისუფლებისთვის 1919 წელიც. დენიკინი, ურიცხვი მხედრებით მოსკოვისკენ მიიწევდა. სწორედ მაშინ გაჩნდა კომუნისტების მოწოდება „დაგვეხმარეთ შექმნათ კავალერიის ნაწილები!“. „პროლეტარებო — ცხენებზე!“ ასე დაიწყო ყველაზე წითელი არმიის კავალერიის უზრუნველების ჩამოყალიბება. პირველმა ცხენოსანმა არმიამ, რომელიც როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სწორედ 1919 წელს შეიქმნა, უდიდესი წვლილი შეიტანა კონტრრევოლუციის საბოლოო ლიკვიდაციაში. კავალერიის ბრძოლები შექმნა თავის არმიამ კ. ვოროსილოვმა, რომელიც მე-10 არმიის სარდლობდა. „წითელი კავალერია სამხედრო კადრების თავისებურ სამკვლევო იქცა. საკმარისია ითქვას, რომ

მისი რიგებიდან გამოვიდნენ მეორე მსოფლიო ომის წლებში საყოველთაოდ აღიარებული მთავარსარდლები გ. უსუკოვი, კ. როკოსოვსკი, კ. მოსკალენკო, ს. ტიმოშენკო, ი. ბაგრატიანი და სხვა მრავალი“ — ვკითხულობთ ოფიციალურ დოკუმენტებში. ჩვენს წინაააღმდეგ არაა უკონვერტული „1957 წლის მე-9 ნომერი. აქ გამოქვეყნებულია პ. როკოსოვის მოგონებები, საიდანაც ვიგებთ, რომ 1919 წელს ვ. ი. ლენინი ზემოთ მიდიოდა პირველ კა-


ეროვნული გიგანტობა

გვაქვს მხედველობაში. ცხენი, როგორც სატრანსპორტო საშუალება, თითქმის ყველა სახეობის ვარის შემადგენლობაში შედიოდა. აი, რას ამბობს პარტიზანული მოძრაობის გამოჩენილი ორგანიზატორი, საბჭოთა კავშირის ორჯონიძის გმირი ს. კოვბაკი: „პარტიზანული ბრძოლების პირობებში ვერავლად არიან მანქანა ვერ შეცვლის ცხენს“. სამაშალო ომის წლებში გაჩნდა კავალერიისა და საცხენოსნო-შეჯახილობის კორპუსები.



გ. უსუკოვი გამარჯვების პარადზე.

რალური რუსეთის 23 ქალაქში მოხდა ანტისაბჭოთა გამოსვლები. სწორედ ამ მძიმე პერიოდში ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა წითელი არმია, რომელშიაც მუშები და გლეხები გაერთიანდნენ. წითელი არმიის ავანგარდი, ცხენოსანი არმია, ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა 1918 წელს ჯერ ცხენოსანთა რაზმი შეიქმნა ს. მ. ბუდიონის ხელმძღვანელობით. ეს რაზმი, რომელიც თეთრგვარდიელებს ებრძოდა, შემდეგ გადაიქცა პოლკად, ცოტა მოგვიანებით — ბრიგადად, ბოლოს კი — საკავალერიო დივიზიად. კავალერიის რიგების ზრდა აუცილებლო-



ვალერიის სასწავლებელში, დაინტერესებული იყო სამხედრო კადრების მომზადებით, ესწრებოდა კურსანტების წვრთნას. შემდგომში კავალერიის რიგებში იყვნენ არა მარტო სამხედრო ხელმძღვანელები, არამედ სათავეში ჩაუდგნენ აგრეთვე ქვეყანაში მეცხენობის განვითარების საქმეს, ხელი მოჰკიდეს მეცნიერულ კვლევას. ისინი არიან ცხენოსნობის კლასიკური სახეობების პირველი სპეციალისტებიც.

წითელი არმიის კავალერიის გამოცდილებას და სახელოვან კავალერიისტთა გარჯას უკველოდ არ ჩაუვლია. მეორე მსოფლიო ომის წლებში, როცა სამშობლოს განსაცულები დაატყდა თავს, ცხენოსანი არმია კვლავ იქცა ჩვენი შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვეგანაყოფად. 1943 წლიდან საბჭოთა არმიის კავალერიის სარდლად კვლავ ს. მ. ბუდიონი ინიშნება.

...ცხენმა ერთგული სამსახური გაუწია ჩვენს შეიარაღებულ ძალებს მეორე მსოფლიო ომში. მხოლოდ ბრძოლებში მონაწილეობა არ

ალბათ ბევრს ახსოვს კინოკადრები, რომლებიც წითელ მოედანზე 1941 წლის 7 ნოემბერს გამართულ სამხედრო პარადზე მოგვიტობდნენ — სამხედრო ტექნიკის შენაერთებთან ერთად ფრონტზე მიდიან კავალერიისტები. კავალერიამ თავისი სიტყვა თქვა კავკასიის და სტალინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, ლონხისის, კარაბაღის ბრძოლებში. კავალერია მონაწილეობდა უზრუნველ, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში. უტყვევდა ბერლინს. დაიბ, კავალერიამ მწელი და გრძელი გზა გაიარა ბრძოლებით წითელი მოედნიდან ელბამდე. ბევრმა კავალერიისტმა დაიბსახურა სამშობლოს მალაქილი — გახდა საბჭოთა კავშირის გმირი, ათათასობით მხედარო მეთამარი კი ორდენებით და მედელებით დაჯილდოვდა.

დაბოლოს, გავიხსენოთ ისევე წითელი მოედანი. 1945 წლის 24 ივნისი, გამარჯვების პარადი. კონხელოვნებამ შემოვიყვანა ისტორიისთვის უნიკალური კადრი — პარადს იღებს თეთრ ბეღაურზე ამხედრებული სარდლი გ. კ. უსუკოვი.

კარგი თაობა მოდის

19360 გაზეთის 16 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ცნობა საქართველოს ქაბუკი ძაღლისებრა შესანიშნავი წარმატების შესახებ, რომელიც მათ ტალინიში გამართულ საკავშირო პირველობაზე მოიპოვეს. მაგრამ მაშინ მხოლოდ გამარჯვებულები გაგაცანით. თბილისში დაბრუნების შემდეგ რედაქციაში მოვიწვიეთ საქართველოს ქაბუკის ნაკრების უფროსი მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ანტონ პარტაშვილი, რომელსაც ვთხოვეთ უფრო დაწვრილებით მოეთხოვრა ტურნირის შესახებ და ამ შეჯიბრების შედეგების გათვალისწინებით ქაბუკთა II საკავშირო თამაშებისთვის ჩვენი გუნდის პერსპექტივაზე შეფასებინა.

— ჯერ იმას ვიტყვი, რომ შეჯიბრება საუწყებო იყო და ჩვენი ქაბუკები თავიანთი სპორტსახოგადობების ნაკრები გუნდების სახელით ასპარეზობდნენ. თუ ჩვენი სპორტსახოგადობების „წილობრივი“ მაჩვენებლების მიხედვით ვიმსჯელებთ, ყველას დაახლოებით თანაბარი შედეგები აქვს. საქართველოს 35 ძიულისტში, რომლებიც ტალინიში გამოდიოდნენ, 11 დინამიკური იყო, 12 — პროფესიონარების, 10 — „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელი. არმიის სპორტული კლუბი ორი სპორტსმე-

ორიხნობრივი — ჯაბუკთა II საკავშირო თამაშები

ნით იყო წარმოდგენილი. მოპოვებული შედეგების მიხედვით ასეთი მდგომარეობაა: დინამიკურებმა 4 მედალი მოიპოვეს (2-2 ოქროსი და ვერცხლისა), პროფესიონარებმა — 2 (1, 0, 1), „შრომითი რეზერვების“ მოკიდავეებმა — 8 (1, 3, 4). ყველაფერმა ამან კი საბოლოო ანგარიშით არაოფიციალური გუნდური ჩათვლაში მართლაც კარგი შედეგი მოგვცა — 4 პირველი, 5 მეორე და 5 მესამე ადგილი. მთელი 9 ქულით გაეუსწარით ჩვენს მთავარ მეტოქეს, რუსეთის ფედერაციის გუნდს, რომელიც რიცხობრივად თითქმის ორჯერ გვაჭარბობდა. 37,5 ქულით ვაჯობეთ მესამე ადგილზე გასულ უკრაინის ნაკრებს.

„ლელომ“ მხოლოდ ჩემპიონები გააცნო მკითხველს, ამიტომ ახლა დანარჩენ პრიზორებსაც დაგისახელებთ. ვერცხლის მედლები მოიპოვეს ახმეტელმა ზურაბ სამუკაშვილმა (60 კგ), თბილისელებმა ვიორჯო ალიბეგოვმა (56 კგ), თამაზ მუთოშვილმა, ზაზა დაბრუნდაშვილმა (მძიმე წონა) და ქუთაისელმა დავით ხახალიშვილმა (ახსოლურტური წინაში). სამუკაშვილი და ხახალიშვილი დინამიკურები არიან, სხვები — „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლები. ჩვენმა გუნდმა ხუთი ბრინჯაოს მედალიც დაიმსახურა, აქედან ორი — ზესტაფონელმა კობა გურუშიძემ. მძიმე და ახსოლურტური წონებში შეჯიბრების პრიზორები გახდნენ თბილისელები მამუკა მახათაძე (56 კგ) და ჯონდა დაბრუნდაშვილი (მძიმე), აგრეთვე რუსთაველი ვეფხია ავალიანი (86 კგ). ეს უკანასკნელი პროფესიონარების გუნდის ორსებას იცავდა, სხვები — „შრომითი რეზერვებისას“.

ტალინი გათამაშებული 27 მედლიდან, კიდევ ვიმეორებ, 14 ჩვენმა ბიჭებმა მოიპოვეს, ამიტომ

შეიძლება კაცმა იფიქროს, თითქოს ქაბუკთა თამაშებისთვის ყველაფერი რიგზე უნდა იყოს. ალბათ ასეც იქნებოდა, ერთი გარემოება რომ არა: რატომღაც თამაშებზე ყველა სახეობაში 1970 წელს დაბადებული ახალგაზრდების გამოყვანაც შეიძლება, ძიულში კი მხოლოდ 1971-1972 წელს დაბადებულებმა უნდა იასპარეზონ. ეს ჩვენი მეტოქეების სისქილზე ასახმს წყალს. იმ 35 სპორტსმენში, კომინიოგში რომ წაყვყვანეთ, 20 ყმაწვილი სწორედ 1970 წელს არის დაბადებული და მედლების უდიდესი ნაწილიც სწორედ მათი მოპოვებულია.



ქაბუკთა II საკავშირო თამაშებისთვის კი ძალიან ძნელად მისაღწევი მიზანი დაგვისახეს — 14 მედლის მოპოვება. ვ. ი. თითქმის ყველა წონაში 2-2 მედალი უნდა აეგოდა. მართლაც ძნელი საქმეა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ორ წონაში შეჯიბრება ახლახან დაუმატეს თამაშების პროგრამას და ჯერ ნაკრების კანდიდატების შემოწმებაც ვერ მოვახერხეთ, ხეირიანად არ ვიცით, ვის იმედზე ვართ. დანარჩენი შვიდი წონიდან ოთხში უდიდებლად ჩვენი მეტოქეები ითვლებიან, რომელთა დამარცხება დღისათვის პრობლემაა. არ გეგონოთ, ვინმეს თავს ვაცდებდეთ, ჩვენ ჩვენსას ვეცდებით და ჩვენი ბიჭების იმედი მუდამ გვაქვს, მაგრამ მდგომარეობის სერიოზულობაც უნდა გავითვალისწინოთ.

ისე, კაცმა რომ თქვას, ერთი ერთზე, ვ. ი. ყოველ წონაში თითო კაცის გამოყვანის უფლებით, ჩვენი მომრევი გუნდი არ მეგულებოდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ დეზულუბის, უფრო სწორად აღრე მიღწეულ წარმატებათა გამო რუსეთის ფედერაცია ოთხ გუნდს, ვ. ი. 35 ქაბუკს გამოიყვანს თამაშებზე, ჩვენ კი სამს — 27 მოკიდავეს, რაც კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას. იმის გამო, რომ ახლა ფაქტობრივად ერთ წონაშიც კი არა გვაქვს შეცდომის დაშვების უფლება, მეტოქეთა გუნდების ყველა სავარაუდო ფავორიტის შესაძლებლობებს ვეცნობით. ჩვენი ნაკრებიდან კი ასეებლად ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი მოკიდავე მიმჩინია: ხახალიშვილი, ავალიანი, სამუკაშვილი და კონდა დაბრუნდაშვილი. დანარჩენებიც შეჯიბრებამდე დარჩენილ დროში როგორმე უნდა მოვაშხალოთ ამისათვის. 23 მარტს თბილისში ქაბუკთა საერთაშორისო ტურნირი იწყება და გუნდის ყველა კანდიდატს სწორედ მაშინ შევათქმებთ. დიდ დახმარებას გვიწევს ერთობლივი შეკრებები უფროს ძიულისტებთან, ბავშვები ბევრ რამეს სწავლობენ. ახლა სწორედ ასეთი შეკრება მიმდინარეობს თბილისში.

ბოლოს კი ერთი რამ მინდა ვთქვა: ახლა ძნელია იმის განსახილვერა, რამდენად შევასრულებთ დასახილვერ გეგმას, მაგრამ მთლიანად, მდგომარეობა ძიულში, მე ქაბუკ მოკიდავეებს ვგულისხმობ, აშკარად საიმედოა. ის 1970 წელს დაბადებულებიც, როგორც გითხართ, ჩვენ კი ვერ გამოვადგებინან ქაბუკთა თამაშებზე, მაგრამ ნიჭიერი ბიჭები არიან და იმედი მაქვს, მალე შეავსებენ საქართველოს პირველი ნაკრების რიგებს. ერთი სიტყვით, ძიულში კარგი თაობა გვაზრდება.

საუბარი ჩაიწერა გიორგი პავლიაშვილმა.

კვარუდავით დახედილს

„თბილისი და... მთალი რასკაპლია?“

ამ სათაროთ „ლელოს“ 21 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში სამართლიანად იყო გაცრიტიკებული ყაზბეგის რაიონის იმის გამო, რომ ქაბუკთა II რესპუბლიკური თამაშებზე მონაწილეობა არ მიუღია.

თამაშებზე გამოუცხადებლობის მიზეზი ძირითადად იყო ყაზბეგის რაიონის სპორტსმენების და მოკიდავეების „რაიონული საბჭოს“ თავმჯდომარეების, აგრეთვე სპორტსმენების დირექტორის გულგრილი დამოკიდებულება. შეიქმნება მონაწილეობაზე წინასწარი განაცხადი საქართველოს სპორტსაქონში წარდგენილი უნდა ყოფილიყო 1987 წლის 1 თებერვლამდე დაბეჭდულმა მოცემული იყო თუ რომელ სპორტის სახეობაში რა მოწოდების სპორტსმენი დაიშვებოდა. ჩვენ ჩავატარეთ წინასწარი შეჯიბრებები. სამწუხაროდ, ჩვენი სპორტსმენების მოწოდების დონე უბელებში მოცემული დონის შესახამისი არ აღმოჩნდა ამის მიზეზია ის, რომ სპორტულ ჩაუწვრებაში მონაწილეობის სრულყოფილი წვრთნა, განვიციდით კადრების უმარისობას, უკვალ მწვრთნელ-მასწავლებელი შეთავსებით მუშაობის სპორტსმენთა მოუზადებლობაზე იმანაც იმიტომ, რომ მთელი ერთი წლის განმავლობაში არ ვყავდა სპორტსმენების თავმჯდომარე, სპორტსკლასი კი ხუთი თვე არ ჰყოლია დირექტორი.

რაიონის სპორტის დახმარებით თითქმის ყველაფერი მოგვარდა. შემოტანილია სპორტი ინვენტარი, გინახა ახალი ჩაუფები, საწვრთნელ მეცადინეობას სწორი მიმართულება მიეცა, სპორტული მუშაობა გამოისწორდა და სპორტსმენთა მოწოდების დონეც გაიზარდა. მიმდინარე წელს რესპუბლიკიდან უკვალ შეჯიბრებაში მთავად მოწინააღმდეგეობა.

პ. კობახიძე, ყაზბეგის რაიონის სპორტსმენების თავმჯდომარე.



კავკასიური სპორტი-88

ბრაზილს პარაოლიმპიკის დაარსებას

საპარაოლიმპიკის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანს მხოლოდ ერთი რამ აინტერესებს — ოლიმპიკის ჩატარება და დადგენილ ვადებში, თუნდაც ზოგიერთი სახეობის შედეგების ხარჯზე.

იმედი მაქვს, განაცხადა მან, რომ ქარიზმული და ბოლოს ჩადგება და საშუალებას მოგვცემს წარმატებით ჩაატაროთ პარაოლიმპიკის ყველა 123 სახეობა. მაგრამ თუ რაიმე მიზეზმა ხელი შეგიშალა ოლიმპიკის მიხედვით 28 თებერვალს დაიწყებოდა.

ოლიმპიკის ისტორიაში მსგავსი რამ მხოლოდ ერთხელ მოხდა — 1932 წელს ლეიკ-პლესიდში, როცა შეჯიბრება ოთხდაღიანი ბობსლეიში თამაშების დახურვის საზეიმო ცერემონიის შემდეგ მოეწყო. მაგრამ ასეთი რამ წლებს აღარ განმეორდება, ვინაიდან შეჯიბრებათა გადატანა თუნდაც ერთი დღით დიდ ორგანიზაციულ და ფინანსურ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

კალგარაში სტუმრად „ჩაიდა“ მთის პატარა ანტილოპა — 1992 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების (ალბერვილი) თილისმა. მიმდინარე ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა მიშელ ბარნიემ ეშპაკურად მომღიბარი ანტილოპას ფოტო ქურნარისტ-

შვეიცია	5 2 3 0 23-10 7
კანადა	5 2 1 1 17-12 7
შვეიცარია	5 3 0 2 19-10 6
პოლონეთი	4 0 1 3 3-18 1
საფრანგეთი	4 0 0 4 10-41 0

პოლონეთისა და საფრანგეთის გუნდების შეხვედრის შედეგი გაუქმდა და ამიტომ ქულა არც ერთს არ დაერიცხა.

II ჯგუფი

სსრ კავშირი	5 5 0 0 32-10 10
გერ	5 4 0 1 19-12 8
ჩეხოსლოვაკია	5 3 0 2 23-14 6
აშშ	5 2 0 3 27-27 4
ავსტრია	5 0 1 4 12-29 1
ნორვეგია	5 0 1 4 11-22 1

ამრიგად, ფინალურ ტურნირში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს: სსრ კავშირმა (4 ოქროს ქულით), ფინეთმა (3), შვეიცია (2), გერმ (2), კანადა (1), ჩეხოსლოვაკიამ (0).

როგორც ცნობილია, ორადგილიან ბობსლეისტთა შეჯიბრება სიბოსის გამო გადაიდო და ზოლო ორი ცდა ორშაბათს ჩატარდა. ძირითადი მეტოქეები საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკიპაჟები იყვნენ და საპარაოლიმპიკის მათ შორის განაწილდა:

1. იანის კიპურსი და ვლადიმერ კოზლოვი (სსრ კავშირი) — 8:53,48,
2. ვოლანგ პოპე და ბოგდან მუსილი (გერ) — 8:54,19,
3. ბერნარდ ლემანი და მარიო პოიერი (გერ) — 8:54,64,...

9. ზინტის ეკიპისი და აივარს ტროსისი (სსრ კავშირი) — 8:56,92.

მოციგავეები განაგრძობენ მსოფლიო რეკორდების შტურმს, ოღონდ ამჯერად ბრძოლაში ქალე-

16. ელენა ილინა (სსრ კავშირი) — 41,15.

ფიგურისტთა სპორტული ცეკვები, როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭოთა წყვილების უპირატესობით მიმდინარეობს. ჩვენი სპორტმენები ორიგინალური ცეკვების შემდეგ საგრძნობლად დაწინაურდნენ. სულ კი უძლიერესთა ექვსეულში სამი საბჭოთა დუეტი, კანადის, ავსტრიისა და აშშ-ს წყვილები მოხვდა. მედლებისთვის ბრძოლას სწორედ ისინი განაგრძობენ:

1. ნატალია ბესტუმიანოვა — ანდრეი ბუკინი (სსრ კავშირი) — 1,0,
2. მარინა კლიმოვა — სერგეი პონომარენკო (სსრ კავშირი) — 2,0,
3. ტრენისა უილსონი — რობერტ მაკოლი (კანადა) — 3,0,
4. ნატალია ანენკო — გენრიხ სრეტენსკი (სსრ კავშირი) — 4,0.

ქალთა სუპერგიგანტიურ სლალომში სენსაცია მოხდა. პირველი ადგილი დაიკავა 20 წლის ავსტრიელმა გოგონამ ზიგრიდ ვოლფმა, რომელიც თავის გუნდში სულ ბოლო მომენტში მეოთხე ნომრად იქნა ჩარიცხული:

1. ზიგრიდ ვოლფი (ავსტრია),
2. მიქაელა ფიჯინი (შვეიცარია),
3. კარენ პერსი (კანადა).

ამ დღეს ყურადღების ცენტრში, ცხადია, მოთხილამურე ვაჟთა ესტაფეტა იყო 4X10 კმ-ზე. ბრძოლა ტრადიციისამებრ საბჭოთა და შვეიცარიის მოთხილამურეთა შორის გაიმართა.

პირველი ეტაპი, ვლადიმერ სმირნოვი (სსრ კავშირი) და იან ოტოსენი (შვეიცია). ეს დუეტი ფაქტურად ფრედ დამთავრდა, თუმცა შვედმა მოთხილამურემ თავის პარტნიორს ესტაფეტა 1,7 წამით უფრო ადრე გადასცა.

მეორე ეტაპი, ვლადიმერ სახნოვი (სსრ კავშირი) და თომას ვასბერგი (შვეიცია). სახნოვი თავის კარგად გრძნობდა მთელს დისტანციას. ერთ მომენტში მან გადაასწრო კიდეც მეტოქეს, მაგრამ შვედი „თვალში ჩაუჭდა“ დაწინაურებულს და ესტაფეტა პარტნიორს ფაქტურად ერთდროულად გადა-

სცა. ფინიშზე სახნოვმა გულსტიკილით აღნიშნა: „გასბერგი უნდა ჩამოვხრებოდა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვახერხე ეს“.

მესამე ეტაპი. მიხეილ დევიატაროვი (სსრ კავშირი) და გუნდს სვანი (შვეიცია). საბჭოთა მოთხილამურე მეტოქის სუნთქვას ზურგს უკან გრძნობდა. მე-6 კილომეტრზე სვანმა გადაუსწრო დევიატაროვს. დაახლოებით ამ დროს ჩვენი სპორტმენი დაეცა. ამით ისარგებლა სვანმა, ტემპს უმატა და ფინიშზე თავის თანაგუნდელს ესტაფეტა უფრო ადრე გადასცა.

მეოთხე ეტაპი. ალექსი პროკუროროვი (სსრ კავშირი) და ტორგი მოგროვი. პროკუროროვმა პირველი ორი კილომეტრზე კარგად გაიბრძოლა და სხვაობა 8 წამამდე შეამცირა. მაგრამ ეს იყო ყველაფერი რაც ოლიმპიურმა ჩემპიონმა შეძლო. შვედმა მოთხილამურემ ეს უპირატესობა შეინარჩუნა, ფინიშთან კი გახარდა კიდეც:

1. შვეიცია — 1:43,58,6,
2. სსრ კავშირი — 1:44,11,8,
3. ჩეხოსლოვაკია — 1:45,22,7.

გენდლები

27 სახეობის შემდეგ მედლების კომპლექტები ოლიმპიურ დღეებშიც შორის ახე განაწილდა:

სსრ კავშირი	ო. ვ. ბ. სულ
გერ	7 6 5 18
ავსტრია	6 5 3 14
შვეიცარია	8 8 1 7
შვეიცია	1 4 2 7
აშშ	3 0 1 4
ფინეთი	2 1 1 4
ნიდერლანდები	2 0 2 4
გერ	0 2 2 4
ნორვეგია	1 1 1 3
კანადა	0 2 1 3
ჩეხოსლოვაკია	0 1 2 3
საფრანგეთი	1 0 1 2
იტალია	0 0 1 1
იაპონია	0 0 1 1



ქალთა შორის 4X5 კმ ესტაფეტაში გამარჯვებული საბჭოთა გუნდის ოთხეული.

ებს დაურიგა და თხოვა მისთვის შესაფერისი სახელი შეერჩიათ. როგორც ირკვევა, ალბერვილის თილისმას სახელი ჯერ შეეჩქმული არ ჰქონია.

დამთავრდა პოვეისტა ჯგუფური ტურნირები. პირველი ეტაპის მატჩების შემდეგ სატურნირო ცხრილები ასე გამოიყურება:

I ჯგუფი

ფინეთი	თ. მ. ფ. წ. შ. ქ.
	5 3 1 1 22-8 7

ბი ჩაებნენ. პირველივე სახეობაში — ქალთა 500-მეტრიან სპრინტში მსოფლიო რეკორდი დაფიქსირდა. საბჭოთა სპორტსმენები ამ დისტანციაზე აშკარად სუსტად გამოვიდნენ:

1. ბონი ბლიერი (აშშ) — 39,10 (მსოფლიო რეკორდი),
2. კრისტა როტენბურგერი (გერ) — 39,2,
3. კარინ კანია (გერ) — 39,24,...
9. ნატალია შივე (სსრ კავშირი) — 40,86,

ოლიმპიადის ტაბლო

გთავაზობთ შაბათ-კვირას ჩატარებულ შეჯიბრებათა შედეგებს.

სათხილამურო ესტაფეტა (4X5 კმ, ქალები). 1. სსრ კავშირი (ს. ნაგეიკინა, ა. გავრილიუკი, თ. ტიხონოვა, ა. რეზცოვა) — 59:51,1; 2. ნორვეგია — 1:01.33,0; 3. ფინეთი — 1:01.53,8.

ციგურებით რბენა (10.000 მ, ვაჟები). 1. თომას გუსტაფსონი (შვეიცია) — 13.48,20 (მსოფლიო რეკორდი); 2. მ. ხაჯიფი (ავსტრია) — 13.56,11; 3. ლ. ფისერი (პოლანდია) — 14.00,55... 6. ი. კოლუევი (სსრ კავშირი) — 14.09,68... 8. ს. ბერეზინი (სსრ კავშირი) — 14.20,48... 15. ა. მოზინი (სსრ კავშირი) — 14.28,91.

ციგურებით რბენა (1500 მ, ვაჟები). 1. ა. ჰოფმანი (გერ) — 1.52,06 (მსოფლიო რეკორდი); 2. ე. ფლეიმი (აშშ) — 1.52,12; 3. მ.

ხაჯიფი (ავსტრია) — 1.52,31; 4. ი. ელვინოვიკი (სსრ კავშირი) — 1.52,63... 6. ა. კლიოვი (სსრ კავშირი) — 1.52,97; 7. ნ. გულაიევი (სსრ კავშირი) — 1.53,04.

სლალომი (სუპერგიგანტი, ვაჟები). 1. ფ. პიკარი (საფრანგეთი) — 1.39,66; 2. ჰ. მაიერი (ავსტრია) — 1.40,96; 3. ლ. ბ. ერისონი (შვეიცია) — 1.41,08.

ალპიური ორკილი (ქალები). 1. ა. ვაპტერი (ავსტრია) — 29,25 ქულა; 2. ბ. ოერტი (შვეიცარია) — 29,48 ქულა; 3. მ. ვალიზერი (შვეიცარია) — 51,28 ქულა.

ფიგურული სრიალი (ვაჟთა ერთეულები). 1. ბ. ბოიტანო (აშშ) — 3,0; 2. ბ. ორსერი (კანადა) — 4,0; 3. ვ. პეტრენკო (სსრ კავშირი) — 7,8; 4. ფადევი (სსრ კავშირი) — 8,2... 6. ვ. კოტინი (სსრ კავშირი) — 13,4.



გაიმართა რეგისტრაცია ხუთი ერთი პირველობის შესამე ტურის შეხვედრები. უელსელებმა კარდიფის „არშ ფარჩი“ მიიღეს შოტლანდიელები. მატჩის დაწყებისთანავე სტუმრებმა 7 ქულა მოაგროვეს (ქოლდერმა ლულო გაიტანა, გ. პესტიინგმა საჯაროში შეაგდო), მაგრამ უელსელები მალე დაუფულნენ უპირატესობას და ქ. დევისისა და

უელსელები ჩაეპირონობას უმიზნებენ

ევანსის მიერ გატანილი ლელოებისა და სორბერნის რეალიზაციის შემდეგ დაწინაურდნენ. შემდეგ კვლავ სტუმრებმა იძალუეს: დანქანმა მეორე ლულო გაიტანა, გ. პესტიინგმა ზუსტად დაარტყა სამი საჯაროში და როცა მატჩის დამთავრებას 30 წუთი აკლდა, უელსელები 10 ქულით (10:20) აგებდნენ ბრძოლას. ამ დროს მასპინძლებმა იშვიათი ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს, ხანგრძლივ იერიშზე გადავიდნენ და მიზანსაც მიაღწიეს: ჯერ ვოთქინსმა გაიტანა ლულო, შემდეგ მკველმა სორბერნმა შეაგდო რეალიზაცია და საჯაროში, რითაც სხვა-

ობა ერთ ქულამდე შეამცირა, ბოლო წუთებზე კი ვარე ნახევარცეკვლაში ჯონათან დევისმა ორჯერ დიდებულად დაარტყა არგენით და მასპინძლებს ძნელი გამარჯვება მოუტანა — 25:20 (10:17).

პარიზის „პარკ დე პრენის“ სტადიონზე ფრანგები ირლანდიელებს ეთამაშებოდნენ. აღსანიშნავია, რომ 1972 წლიდან ირლანდიელებს ამ სტადიონზე არ გაუმარჯვნიათ. სტუმრები ამჯერადაც დამარცხდნენ — 6:25 (0:7). ფრანგებმა, რომლებმაც წინა ტურში შოტლანდიელებთან წაგების შემდეგ შეცვალეს გარე ნახევარცეკველი და შესამე ხაზის

ფრთის მოთამაშეები, ხუთი ლულო გაიტანეს (ბლანკო, ლაისკე, კამბერაბერი, კარმინატი, სელა), რასაც ირლანდიელებმა ქირანამა თამაშის ბოლოს ორი საჯაროშითი უპასუხა. სამი ტურის შემდეგ უელსელებს 4 ქულა აქვთ (2 თამაშთან), ფრანგებს — 4 (3), ირლანდიელებს — 2 (2), შოტლანდიელებს — 2 (3), ინგლისელებს — 0 (2). ბოლოსწინა ტურში, 5 მარტს, ირლანდიელები უელსელებს უმასპინძლებენ, შოტლანდიელები — ინგლისელებს. უელსელები გამარჯვების შემთხვევაში ვადამდე მოიპოვებენ ჩემპიონობას.

კონკური-ხეობიერება

კიბი (ტელეფონი). ცხენოსნური კონკური რომ თანამედროვე ხუთხეობიერებას სასინჯ ქვეს წარმოადგენს, ეს ერთხელ კიდეც ცხადი გახდა აქ გამართულ ზამთრის საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე-თათვის, კერძოდ კი თბილისელ სპორტსმენ ვ. იაგორაშვილისათვის, რომელსაც წილისყარამ მეტად ურჩი ცხენი არგუნა. მხედარმა ასპარეზობა საიმედოდ დაიწყო, რაც იმის საწინდარი გახლდათ, რომ წინა დღეს, ფარიკაობაში მოაგებულ მორიღებულ 845 ქულას კონკურის ტრასაზე საკმაოდ შეავსებდა და ლიდერთა ჯგუფში გადაინაცვლებდა. მაგრამ ასე არ მოხდა. ცხენმა ბოლო ორი წინალობის დაძლევაზე საერთოდ „უარი თქვა“ და იაგორაშვილმა აქ მხოლოდ 700 ქულა დაიმსახურა. თუ გაითვალისწინებთ, რომ მისმა უმთავრესმა კონკურენტებმა ლენინგრადელმა ვ. მაკევემ და მისკოვის ოლქის წარმომადგენელმა ა. ავდევემა 1.100-1.100 ქულა დაიმსახურეს, აღარავის დააუკვეებს, რომ ქართველი ხუთხეობიერი პირველობისათვის ბრძოლაში გამოეთნა.

ცხენოსნობაში 1.100 ქულა მოაგროვა აგრეთვე მოსკოვის ოლქის სპორტსმენმა კ. მირაგორსკიმ, რომელსაც ამასთან ერთად საუკეთესო დროც აღმოაჩნდა და კონკურში გამარჯვებაც მას დარჩა. ტურნირში კი საუკეთესო შედეგი — 1.800 ქულა მოსკოველ ა. მერსლოვს ჰქონდა. სამი სახეობის შემდეგ დაწინაურდნენ მოსკოველი ლ. ვიტოსლავსკი — 3.306 ქულა, კ. მირაგორსკი — 3.252 და ა. ავდევევი — 3.241.

„ლელის“ სპეც. კორ. რედაქტორი თ. ბაჩილიაძე.

თბილისის სპორტის სასახლე

24 თებერვლიდან

უკრაინის მხატვრულ-სპორტული ანსამბლის გასტროლები „ბალეტი ეინულზე“ ო. ტიმოვი და ვ. მესენდინი, სპორტის ოსტატები: ბ. ყურაშვილი, ი. ჩერკასოვა, მ. პაპლავსკია და მ. იგნატოვა.



უსპენსკი, ა. ვედოკიშოვი, მ. ჩერკასოვი, გ. გრეზიბოვსკია; აკრობატები: ი. ტიმოვი და ვ. მესენდინი, სპორტის ოსტატები: ბ. ყურაშვილი, ი. ჩერკასოვა, მ. პაპლავსკია და მ. იგნატოვა. წარმოდგენისას გამოიყენება ლიხერის განათება. დასაწყისი; 24, 25, 26 თებერვალს — 19 სთ. 1, 2, 3, 4 მარტს — 19 სთ. 5 და 6 მარტს — 15 სთ. და 19 სთ. მიიღება შეკვეთები კოლექტურ დასწრებაზე. ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკეთ: ტელ. 36-20-54, 36-00-84, 36-20-03.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეკრეტიებისთვის — თბილისი, „ლელა“.

ჩამაძვინის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მარტივი“ — 93-97-27.

ჩვენი მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იხილეთ ოფიციალური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10656